

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №490

ქ. ბათუმი, 22 ივნისი 2020 წ

ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2020 წლის 22 ივნისის
№490 ბრძანებით

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“
ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლამდე, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების 12 დღიანი საკურორტო მომსახურება 500 ლრის ფარგლებში. ბიუჯეტი 345 000 ლარი. შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა და შშმ სტატუსის პირთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომლებიც ასევე ფინანსდება 500 ლარით 12 დღის განმავლობაში.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურება. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ზემოაღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2020 წლის 20 ივნისიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შშმ პირები და დაინვალიდებული (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლამდე), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახები.

5. უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ლუკა ასათიანის ქ. №25.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების და ა. შ. თანდართვით;

დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ობიექტის ფუნქციონირების უფლების შესახებ.

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო.

შპს სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2020 წლის 22 ივნისის
№490 ბრძანებით

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის
ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი**

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის თანმხლები პირის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ომის ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა;
- ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი დოკუმენტაციით;
- სოციალურად დაუცველთა ბაზაში ბენეფიციარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაბამისი ქულების მითითებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით: 12 დღე - 500 ლარი.

შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა და შშმ სტატუსის პირთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომელიც ასევე დაფინანსდება: 12 დღე 500 ლარით.

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

_____ 2020 წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, (ტექსტში შემდგომში - „დამკვეთი“) წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის (პ/ნ _____) სახით, მოქმედი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის _____ № _____ ბრძანების საფუძველზე, და მეორეს მხრივ _____ (პ/ნ _____ ან ს/კ _____), ტექსტში შემდგომში „მოსახურების გამწევი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

1. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დამკვეთსა და მომსახურების გამწევს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება.

2.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გამწევი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირებისთვის (ბენეფიციარი) ვაუჩერის საფუძველზე საკურორტო სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. ძირითადი დებულებები

3.1. მომსახურების გამწევი კისრულობს ვალდებულებას გასწიოს შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ოშში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ოშში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლამდე, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების 12 დღიანი საკურორტო სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება.

3.2. მომსახურების გამწევი საკურორტო სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურებას ახორციელებს ბენეფიციართა დაავადებიდან გამომდინარე, რომელიც ეხმარება მათ დაავადების დამლევაში, საზოგადოებასთან ინტეგრაციაში.

3.3. მომსახურების გამწევი კისრულობს ვალდებულებას, რომ მომსახურების გაწევის განმავლობაში საკუთრებაში ექნება სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო. ამასთან, მომსახურების გაწევა მოიცავს სამჯერად სრულფასოვან კვებას.

3.4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, ან მერის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტით განსაზღვრული პირის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებს და უფლება-მოვალეობებს.

4. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური

4.1. მომსახურების გამწევი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2020 წლის 20 ივნისიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2020 წლის 30 ნოემბერი.

4.2. ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით - 12 დღე 500 ლარი.

4.3. შშმ სტატუსის პირთა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომელიც ასევე დაფინანსდება - 500 ლარით 12 დღე.

4.4. საფასურის ანაზღაურება ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული დოკუმენტაციის საფუძველზე 4.2.-4.3. პუნქტით დადგენილი წესით.

5. სხვა პირობები

5.1. მომსახურების გამწევის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მომსახურების გამწევეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 5 ლარის ოდენობით;

5.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომსახურების გამწევეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურების გამწევეს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

5.4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მომსახურების გამწევეს სახელშეკრულებო ანაზღაურება.

5.5. მომსახურების გამწევი ადასტურებს, რომ გაეცნო „ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის _____ № _____ ბრძანებას, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, წარმომადგენელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე

/ _____ / / _____ /
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

მომსახურების გამწევი: / _____ /
(სახელმწოდება/სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო კოდი)

/ _____ / / _____ /
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)